მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის (-მა/მ) გამოყენების საწყისი ასაკი (18-დან 36 თვემდე) ქართულენოვან ბავშვებში

ლელა გულედანი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ცინცაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლელა გულედანი

ლ. გულედანი

24. 06.2021

სარჩევი

Contents

აბსტრაქტი 4

Abstract 6

საკვლევი საკითხი/ამოცანა 8

საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა 9

ლიტერატურის მიმოხილვა 10

ენის განვითარება 10

გრამატიკის როლი ენის განვითარებაში 12

მოთხრობითი ბრუნვა 14

ექსპრესული ენა 16

კვლევის მეთოდოლოგია 17

კვლევის დიზაინი 17

კვლევის პროცედურა 18

გამოყენებული მასალები 19

კვლევის შედეგები 20

შედეგების განხილვა/ანალიზი 30

კვლევის შეზღუდვები 36

დასკვნა 37

გამოყენებული ლიტერატურა : 39

დანართი#1 41

დანართი #2 41

დანართი #3 42

დანართი #4 42

აბსტრაქტი

ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს ქართულენოვან ბავშვებში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების საწყისი ასაკი. ამისთვის გამოვყავით სამი ასაკობრივი კატეგორია: I) 18-24 თვე; II) 25-30 თვე და III) 31-36 თვე. საკვლევი საკითხის გამოსავლენად თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში გამოვიყენეთ სურათები და კითხვების დასმის მეთოდი, რაც ბრუნვათა ექსპერიმენტული შესწავლისთვის აპრობრებული მეთოდია.

კვლევაში სულ ჩართული იყო 37 ბავშვი, რომელთაგან 20 იყო გოგო (54.1%), ხოლო 17 იყო ბიჭი (45.9%). მათი გადანაწილება ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით შემდეგნაირი იყო: 1) 18-დან 24 თვემდე - 11 ბავშვი; 2) 25-დან 30 თვემდე - 10 ბავშვი; 3) 30-დან 36 თვემდე - 16 ბავშვი. კვლევის საწყის ეტაპზე ჩატარდა მშობელთან ინტერვიუ, რომლის საფუძველზეც მოხდა ბავშვის ენობრივი განვითარების შესახებ ინფორმაციის მიღება, რათა გამოგვერიცხა ენობრივი დარღვევა. ბავშვის ენობრივი განვითარების შესამოწმებლად მშობელს დავუსვით ენის განვითარებასთან დაკავშირებული კითხვები, რითიც განვსაზღვრეთ ბავშვის კვლევაში ჩართულობა/არ ჩართულობის საკითხი. შემდეგ ეტაპზე მშობელი ეცნობოდა ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა განეხორციელებინა კვლევის პროცედურა ბავშვთან. კვლევის ბოლო ეტაპზე, მშობელი მიცემული ინსტრუქციების გათვალისწინებით, ვიდეოს საშუალებით აფიქსირებდა ბავშვის პასუხებს, რომლებიც შემდეგ მკვლევარს გაეგზავნა და დამუშავდა მის მიერ.

ჩვენი რაოდენობრივი, აღწერითი კვლევის მონაცემების SPSS-ის პროგრამაში დამუშავების შედეგად დავინახეთ, რომ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გამოყენება ქართულენოვანი ბავშვების მეტყველებაში ეტაპობრივად შემოდის, რაც გამოჩნდა ასაკობრივ კატეგორიებს შორის ამ ბრუნვის გამოყენების სიხშირის სხვადასხვაობით. მაგალითად, 1-ლ ასაკობრივ კატეგორიაში 11 ბავშვიდან მხოლოდ ერთი ბავშვი იყენებს მოთხრობით ბრუნვას, თუმცა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, რაც გულისხმობს იმას, რომ მოთხრობითის გამოყენება მხოლოდ ჩანასახის დონეზეა

აღნიშნულ ასაკობრივ კატეგორიაში. ეს განპირობებულია მწირი გრამატიკული უნარების ფლობით 18-დან 24 თვემდე ასაკში.

მეორე ასაკობრივ კატეგორიაში უკვე შეინიშნება განსხვავება მოთხრობითი ბრუნვის მეტი სიხშირით გამოყენების თვალსაზრისით. ამ ასაკობრივ კატეგორიაში, მოთხრობითის, რომლის ფუნქციაც არის სუბიექტი>მოქმედება>ობიექტის გრამატიკული ნიშნით გამოხატვა, გამოყენება ხდება 50%-ის მიერ (5 ბავშვი), ეს მიანიშნებს იმაზე, რომ მათი ენობრივი განვითარების დონე საკმაოდ მაღალია წინა ასაკობრივ კატეგორიასთან შედარებით, ისინი უკვე ფლობენ გარკვეულ გრამატიკულ კატეგორებს, რომელთა ფლობა განაპირობებს მათ ენობრივ კომპეტენციას და საშუალებას აძლევს მათ, მეტი სიზუსტით გამოხატონ თავიანთი აზრები.

მესამე ასაკობრივი კატეგორიის შეფასების შედეგებმა მოთხრობითი ბრუნვის გამოყენების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი გამოავლინა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ამ ასაკობრივ კატეგორიაში ქართულენოვანი ბავშვების ენობრივი და გრამატიკული უნარები განვითარების მაღალ საფეხურზეა, რაც მათ ენობრივ კომპეტენციას მნიშვნელოვნად ზრდის, რაც ეფექტური კომუნიკაციის წინაპირობას წარმოადგენს. კვლევის შედეგად მიღებულმა შედეგებმა გამოავლინა, რომ მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გამოყენების საწყისი ასაკი არის 18-დან 24 თვემდე ასაკობრივ კატეგორიაში, თუმცა შემდეგ ეტაპებზე მას უკვე მეტი სიხშირით იყენებენ ქართულენოვანი ბავშვები. ამ მონაცემების გათვალისწინება შეუძლიათ კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპევტებს ენის დარღვევების მქონე ბავშვებთან ინტერვენციის დაგეგმვის დროს.

საკვანძო სიტყვები: ექსპრესული ენა, მორფო-სინტაქსი, მოთხრობითი ბრუნვა.

Abstract

The aim of this paper is to investigate the initial age of the use of the ergative case in Georgian-speaking children. For this we have divided three age categories: I) 18-24 months, II) 25-30 months and III) 31-36 months. To identify the research question in each age category, we used pictures and a questioning method, which is approved method for the experimental study of the ergative case.

A total of 37 children was involved in the study — 20 girls (54.1%) and 17 boys (45.9%). Their distribution according to age categories was the following: 1) 18-24 months old – 11, 2) 25-30 months old – 10, 3) 30-36 months old – 16. At the initial stage of the study, an interview was conducted with the parents, on the basis of which we received data about children's language development in order to exclude a language disorder. To check the child's language development, we asked the parent questions related to language development, wherewith defining the issue of involvement/non-involvement of the child in study. At a next phase, the parent was instructed on how to implement the study procedure with the child. At the last phase of the study, the parent, following the instructions given, recorded the child's answers via video, which were then sent to the researcher, and she processed the material.

As an outcome of processing our quantitative, depictive study material in the SPSS program, we saw that the use of the ergative case enters the speech of Georgian-speaking children in stages, which appeared with the diversity in the frequency of using the ergative case between the age categories. For example, in the first age category, only 1 child out of 11 uses the ergative case, although only in certain instances, which means that the use of the ergative case is only at an initial level in that age category. This is due to the possession of poor grammatical skills at the age of 18-24 months.

A difference has already been observed in terms of the more frequent use of the ergative case in the second age category. 50% (5 children) in this age group use the ergative case, the function of which is subject>action>grammatical expression of the object. This points out that their level of language development is sufficiently in comparison with the previous age category. They already possess some grammatical categories, which outlines their linguistic competence and allows them of airing their thoughts more accurately.

A fairly high rate of use of the ergative case was revealed by the results of the third age category assessment. Which gives us reason to say that the language and grammar skills of Georgian-speaking children in this age category are at a high stage of development, which significantly increases their language competence, which, in turn, is a precondition for effective communication. The results of the study showed that the initial age of using the ergative case is in the age category of 18-24 months, but in the later stages it is used more often by Georgian-speaking children. Communication, language and speech therapists can take these data into account when planning an intervention for children with language disorders.

Key words: expressive language, grammar function, ergative case age